

ფონდი
თარიღი
პროც.
APX.
1993
სტენოგრაფიული ანგარიში

საქართველოს პარლამენტის
1993 წლის 25 მაისის სხდომის
სტენოგრაფიული ანგარიში

66 ანგარიში

საქართველოს პარლამენტის
• 3 • 4 • 0 • 0



ფონდი
კაბა
1914
1910

სამართალმცოდნეობის
კატეგორია

66 ვ. მ. მ. მ.

საქართველოს პარლამენტის
პოსტსამართლებრივი განყოფილება

საქართველოს პარლამენტის
სამართლებრივი განყოფილება
სამართლებრივი განყოფილება
სამართლებრივი განყოფილება

საქართველოს პარლამენტის

1993 წლის 25 მაისის

სხდომის

ს ტ ე ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ა ნ გ ა რ ი შ ი



საქართველოს პარლამენტის 1993 წლის
25 მაისის სხდომის ჩანაწერი.

ახლანდელ დღემდე პარლამენტის სპიკერი ვ. ჯოჯუაძე.

დავით აღმაშენებელი. მოვემზადეთ ტრადიციული რიტუალისათვის, რეგისტრაციისათვის. ჩავრთეთ. ნიშნინარეობს რეგისტრაცია. უღეს ყველა სატენის კურსში ბრძანდებით, I2-ის ნახევარზე ავტობუსები მოვლენ პარლამენტის შენობასთან. ჩვენ დავამთავრებთ I2-ისთვის პირველ სხდომას და შემდეგ, ალბათ, უფრო ხანგრძლივი შესვენება გვიქნება. რაც შეეხება ხვალინდელი დღის პროგრამას, ქალბატონი რუსუდანი გაგვაცნობს ხვალინდელი დღის პროგრამას.

რ. ბერიძე. დილით რვას რომ დააკლდება I5 წუთი, პარლამენტის ყველა წევრი უნდა იყოს პარლამენტის შენობასთან. ავტობუსები იქნება ახლა წავიკითხავ გეგმას:

8 საათსა და 30 წუთზე პარაკლისი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

9 საათსა და 30 წუთზე არმაზის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების დაწყების ცერემონიალი.

10 საათსა და 30 წუთზე ეროვნულ მოღვაწეთა საფლავების გვირგვინებით შემკობა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

II.00. საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის დაღუპულ მამულიშვილთა დაკრძალვის ადგილის სიმბოლური შემკობა გვირგვინებით მთავრობის სასახლესთან.

I2.00. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო ალლუმი რესპუბლიკის მოედანზე.

I3.00. თბილისში ახალი საკათედრო ტაძრის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალი.

I5-დან I6.30-მდე სპორტის სასახლის წინ მღებარე მოედნისათვის " 26 მაისის " სახელის მინიჭების რიტუალი: 26 მაისისადმი მიძღვნილი ზეიმი 26 მაისის სახელობის მოედანზე.

I7.00. ფეხბურთი თბილისსა და ბათუმს შორის.

I9.30. ოფიციალური მიღება თბილისის რიტუალების სასახლეში, სადაც დაპატიჟებულია პარლამენტის ყველა წევრი და მოსაწვევებს მიიღებთ.

ბატონებო, 26 მაისის სახელწოდებასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია ნ გამომსვლელი პარლამენტიდან. გუშინ კოლეგიაზეც გამოვაცხადე, მაგრამ მსურველებიდან არ შემოსულა. თუ არის მსურველები ფრაქციებიდან, პარტიებიდან გამოსვლის 2-3 წუთიანი სიტყვით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ წინადადებები.

საქართველოს
პარლამენტის
პროცესული
ბიბლიოთეკა



თავმჯდომარე. ღუეს, როგორც გითხარით, წავალთ. ავტობუსები იქნება სიონში და სიონიდან შემდეგ დიდუბეში.

მ. გელაშვილი. ბატონო ვახტანგ, ვსარგებლობ შემთხვევით და პატარა განცხადებას გავაკეთებ.

მე რომ შემოვლოდი პარლამენტის შენობაში, შემხვდა ჩემი ამომრჩევლები ჯგუფი და მიხოვეს ეს განცხადება გავაკეთო თქვენს წინაშე, ბატონო ვახტანგ, და პარლამენტის წინაშე. საქმე შეეხება თიანეთის რაიონში მდებარე სიონტესს, რომლის პრივატიზაციაც გამოცხადებულია და რომლის გაყიდვაც დანიშნულია 5 ივნისისათვის აუქციონზე. მე მაქვს ხელთ სოფლის ყრილობის ოქმი, ამონაწერი, მათი გადაწყვეტილება და ამავე დროს 550-მდე მცხოვრებლის ხელმოწერა, რომელსაც თქვენ მოგართმევთ, ბატონო ვახტანგ, და ამავე დროს, ერთი წერილია თქვენს სახელზე. მათი მოთხოვნაა შეჩერდეს სიონტესის გაყიდვა აუქციონზე და მიეცეს შრომით კოლექტივს მისი გამოსყიდვის უფლება. მათ აქვთ საკმარისი დასაბუთება ამისათვის. ამას მოთხოვენ ისინი საფუძვლიანად. ამავე დროს მინდა გაცნობოთ, რომ სიონტესი ეს არის მცირე ტესი, რომელიც გამოიმუშავებს დაახლოებით 10მგ-მდე ელექტროენერგიას, რომლის ელექტროენერგიაც მთლიანად აკმაყოფილებს თიანეთის რაიონის 16 ათასიან მოსახლეობას. გადმოგვიმთავროთ თქვენ და.

თავმჯდომარე. დავაწვალთ ეკონომიკის კომისიას

ბატონო მეველუ, ეკონომიკის კომისიას, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას, მრეწველობის . . . ბატონ ნიკო ლევიშვილის კომისიას, სასწრაფოდ, უახლოეს სხდომაზე, შეიძლება ზეგისთვის წარმოგვიდგინოს. . . შეამოწმოს ადგილზე მდკომარეობა და წარმოგვიდგინოს პარლამენტში.

მ. გელაშვილი. ამავე დროს, მე მინდა გითხრათ, ბატონო

ვახტანგ, რომ არ მინდა გამიგოთ ისე, თითქოს თიანეთის რაიონის მოსახლეობა პრივატიზაციის წინააღმდეგი იყოს, პირიქით, მაგრამ ამ სიტუაციაში, მისი აუქციონზე გაყიდვა ნამდვილად დაუშვებელია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ხალხის მოთხოვნა. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გასაგებია. მე-5.

ი. ორჯონიკიძე. პარლამენტი არ გვისმენს.

ბატონო ვახტანგ, მე ძალიან კარგად მესმის, რომ ღლის წესრიგი ყოველთვის უნდა დამტკიცდეს დროულად, მაგრამ ჩვენ იმდენი პრობლემა გვიგროვდება, რომ არ შეიძლება სირუმი და რალაცნაირად მოვახერხოთ ისე, რომ ჩვენ გვქონდეს საშუალება, თვეში ერთი ღვე მაინც გამოგვყოთ, რომ სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს პარლამენტში განხილვას, ასე მიქვათაყურებული არ იყოს და ვიზრუნოდ ჩვენი მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის პირდაპირ. უნდა მოგახსენოთ, რომ აუცილებლად 26 მაისის წინ ღვეს ამაზე ლაპარაკი



არ გამოგვივა. გარდა ამისა, უამრავი სხვა მომენტებიც არსებობს და მე არ მინდა, ზერელე ლაპარაკი გამოგვივიდეს. იქნებ, ერთი დღე მთლიანად დავუთმოდ საკითხებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის შიშვინისა და ყოფნა-არყოფნას ეხება. გავარკვიოთ როგორ მიმდინარეობს პრივატიზაცია. მე გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება მოქმედი ასეთი ჰესები იქნეს პრივატიზებული. ასე არ შეიძლება ვილაც რაღაცას აკეთებდეს და ჩვენ წარმოგვინა არ გვექონდეს.

თავმჯდომარე. მე. . .

ი.ორჯონიკიძე იმიტომ, რომ საქართველოში წესიერად არაფერი არ გაკეთდება, თორემ, კი ბატონო. ასეთ სხდომაზე იცით, უნდა განვიხილოთ საკითხები, რომელთაც აქვთ საქართველოს გლობალური მნიშვნელობა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ასეთი საკითხი. . . მე მინდა გათხრათ, რომ მთელი ვ თვეა მინდა მოვახსენო პარლამენტს და მთელ საქართველოს, რომ ცოტა ხანში საქართველოში შეიძლება ეპიდემია გავრცელდეს. იმიტომ, რომ ზაქტერიოფაგია არის დაშლილი, გაუბეღურებული. დავატარებ ჩანთით მთელ მასალას, მინდა მოვახსენო ხალხს და ამისი საშუალება არ გვეძლევა. ასეთ საკითხებთან დაკავშირებით მე გთხოვთ სპეციალურ სხდომას და მე მგონია, ყველა დაგვიჭერს მხარს. უამრავი საკითხი დაგვიგროვდა ჩვენ. მე ცოტა შემრცხვა გუშინ, რომ ზურაბ ავალიშვილის პანაშვილზე ძალიან . . . მსუბუქად რომ ვთქვამთ, კანტიკუნტად იყო, მოწინავე საზოგადოებას რომ ვეძახით, ისე ცოტა ხალხი. . . უწინარეს ყოვლისა, არ ეკადრება იმ აღამიანს.

თავმჯდომარე. ბატონებო, მე გთავაზობთ ასეთ წინადადებას, ქალბატონო იზა, რა ხან თქვენ ასე გული გეწვივთ ამ საკითხზე, ყველას გული ეწვის, მე გთხოვთ თქვენ, სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად მოამზადოთ ეს საკითხი და არა მარტო საკითხის პარლამენტზე დასმა, არამედ . . . გნებავთ, სამშაბათისთვის და საერთოდ იქნებ შემოვილოთ, როდესაც დეპუტატი საინიციატივო წინადადებით შემოდის, სათანადო კომისიასთან ერთად უზრუნველყოთ იმ საკითხის ბოლომდე მიტანა, კოლეგიაზე გამოტანა და მისი ორგანიზება. მოდით რეგისტრაცია გავიაროთ და შეინდგ, მე-3 და მე-2. მიმდინარეობს რეგისტრაცია.

(რეგისტრაცია გაიარა I46 კაცმა)

მე-3 მიკროფონი.

ზ. შენგელია. ბატონებო, მე თქვენი ყურადღება მინდა შევარჩერო ერთ ფაქტზე: შაბათს, 22-ში, ამ დარბაზში მოხდა სახელმწიფოს მეტაურის შეხვედრა განათლების სისტემის მუშაკებთან. მე არ ვიცი, ვინ იყო ამ შეხვედრის ორგანიზატორი, სახელმწიფოს მეტაურის აპარატი, განათლების სამინისტრო თუ პარლამენტის ხელმძღვანელობა, მაგრამ ფაქტია, რომ საპარლამენტო ქვეკომისია, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებზე მუშაობდა,

ოფიციალურად მიწვეული ამ შეხვედრაზე არ იყო. როგორც ირკვევა, განათლების და მეცნიერების კომისიის სხვა წევრებაც, სხვა ქვეკომისიის წევრებაც არ იყვნენ ოფიციალურ მიწვეულები. მე მინდა, ვთხოვო სახელმწიფოს მეთაურს ქვეკომისიის სახელით, რომელსაც ჰქვია სკოლამდელი აღზრდის, სასკოლო განათლების და მისი რეფორმის და რომლის თავმჯდომარესაც წარმოვადგენ მე, უახლოეს ხანებში გამონახოს დრო და შეგვხვდეს ჩვენ. გმალობთ.

თავმჯდომარე. მე-2.

მ. კვანჭილაშვილი. ჯუშინ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ეროვნული ბანკის თავმჯდომარის ბატონ ლემურ დვალისძვის განცხადება იმის თაობაზე, რომ კუპონების დევალვაცია პირადად გამოწვეულია მთავრობის მაღალი თანამდებობის ზოგიერთი პირის უპასუხისმგებლო განცხადებით იმის თაობაზე, თითქოს მოსალოდნელი იყო ქართული ვალუტის შემოღება ზაფხულისათვის. რამდენადაც მე საქმის კურსში ვარ, ასეთი განცხადება მართლაც გაკეთდა ბატონ რომან გოცირიძის მიერ, რომ ივნისში უკვე იქნებოდა ქართული ვალუტა შემოღებული. მე რისი თქმა მინდა, რომ მე ვფიქრობ ასეთი დაპირისპირება ეროვნული ბანკის თავმჯდომარის და რეფორმების მესვეურთა პოზიციებს შორის არაფერს კარგ არ უქადის საქართველოს ეკონომიკას. ამიტომ ამას ~~აქამ~~ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და არა მარტო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ღონებზე, არამედ სახელმწიფოს მეთაურის ღონებზე. მე მინდა, ახლა არ არის სახელმწიფოს მეთაური, დაბეჯითებით ვთხოვო ნას, რომ გაერკვეს ზუსტად შექმნილ ვითარებაში, რომ ნერვ მიღებული იქნეს შესაბამისი ზომები, ან პარლამენტის ღონებზე, ან მისივე ღონებზე.

თავმჯდომარე. ჯუშინ კოლეგიაზე შეთანხმდნენ, რომ სამშაბათის სხდომაზე განიხილება ეს პრობლემები და მანამდე, მოდით, შემოვილოთ ასეთი წესი . . . ბატონ მალხაზს მე ვთხოვდი, როგორც იზა ორჯონიკიძეს მე ვთხოვე, თქვენ ამ საკითხს, როგორც ინიციატორმა, იღის წარმომადგენელმა, მიყვეთ ბოლომდე და მისი მომზადების პროცესსაც აღევნეთ თვალი. როცა მოვა ეს საკითხი აქ, ვინ უნდა მოვიწვიოთ, როგორ უნდა განვიხილოთ, საქმესთან რომ . . .

მე ვთხოვთ, ეს დავალება პარლამენტის მიიღოს. მე-5, მე-4, მე-6.

ნ. ნათაძე. მე უკვე მესამედ ვაყენებ პარლამენტის წინაშე და ამჯერად მთელი კატეგორიულობით, რომ ჩვენ მივიღოთ დადგენილება, რომლის თანახმადაც რუსეთის ჯარის ყოფნა საქართველოში არის მოკლებული ყოველგვარ სამქართლებრივ საფუძველს, რის შედეგადაც უნდა დადგინდეს, რომ ეს ჯარი უნდა გავიღეს საქართველოდან ტექნიკურად

შესაძლებელ უმოკლეს ვადაში. განვიმარტავ, პრაქტიკულად ეს დადგენი-
ლება გვჭირდება იმისთვის, რომ გვექონდეს მყარი პოზიცია, მომგებიანი
პოზიცია იმ ძალიან რთულ მოლაპარაკებაში, რომელიც ღღეს გვაქვს რუსე-
თის მხარესთან. რათა მიღწეულ იქნას რუსეთის ჯარის აქედან გაყვანა
ცივილიზებულ ფორმებში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე. ეს ჩვენთ-
ვის აუცილებელია. მე მკონი, ამ დადგენილებების მიღებით პარლამენტი
კენჭს უყრის არა მხოლოდ ღონისძიებას, რომელიც უნდა განახორციელოს,
არამედ თავის თავს, თავის უფლებამოსილებას და თავის პირნათლად ყოფ-
ნას ჩვენი ქვეყნის წინაშე. მინდა დავძინო, რაც უფრო მტკიცე და პრი-
ნციპული იქნება ჩვენი პოზიცია ამ დარბაზში, მათ უფრო დაიზოგება
ჩვენი სისხლიც და ჩვენი დღვლათიც ამ დარბაზის გარეთ. გმადლობთ.

თავმჯდომარე, ღღეს, მე არ ვიცო, ღღის წესრიგს მოვუვლით
თუ არა და . . .

თ. ბასილია, ბატონო ვახტანგ, მე იმ საკიხს დავუბრუნდები,
რომელიც ბატონ მალხაზ კვანჭილაშვილმა დააყენა. ეს საკითხი, რაც
შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ჩვენ უნდა განგვეხილა ორიოდე
კვირის წინ. მაგრამ, მაშინ, სამწუხაროდ, ჩემთვის გაურკვეველი მიზე-
ზების გამო, ამ საკითხის განხილვა არ მოხდა ისე საფუძვლიანად, როგორც
უნდა მომხდარიყო. აქ ჩვენ მოწვეული გვყავდა ეროვნული ბანკის პრეზი-
დენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სხვადასხვა სტრუქტურების ხელმძღვანელები,
მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ მოვისმინეთ მხოლოდ დემურ დვალისშვილის
დაახლოებით 10 წუთიანი ინფორმაცია და საქმე ამით დამთავრდა, განხი-
ლვამდე საქმე არც მისულა. ამიტომ თუ ამ საკითხს დავუბრუნდებით და
ალბათ, უნდა დავუბრუნდეთ იმიტომ, რომ მდგომარეობა არის ძალიან სერი-
ოზული, მე არ ვიცო, ვინ როგორ. . . ვის რა შეეხება აქვს კონკრეტულად,
დაღის თუ არა საზოგადოებაში, ბაზარში, მაღაზიებში, მაგრამ ის დაღის,
დამერწმუნეთ, რომ საკუთარ თავზე ცღის ძალიან მწარე შედეგებს. ამიტომ
ეს საკითხი არის ძალიან სერიოზული. რაც შეიძლება მალე უნდა შევუდ-
გეთ ამ საკითხის განხილვას. მე ვთვლი, რომ სამშაბათი, შემდეგი სამ-
შაბათი არის ძალიან გვიანი. იქნებ, ისე როგორც ჩვენ გვექონდა ეს სა-
კითხი დავგმილი, რავატაროთ ხუთშაბათს ეს სხდომა. პირველი საკითხი.
მაგრამ არა ისე მიფურეჩებული, როგორც მაშინ საღამოს 8 საათზე რომ
დავიწყეთ განხილვა ან 15 წუთში დავამთავრეთ, არამედ ღღის პირველ
ნახევარში ხუთშაბათს პირველივე საკითხი იყოს ეს. მოვიწვიოთ მთავრო-
ბა სრული შემადგენლობით, ეროვნული ბანკის გამგეობა სრული შემადგენ-
ლობით, და მოვისმინოთ სრული შეჯერებული ინფორმაცია ფულად-საკრედიტო
პოლიტიკასთან დაკავშირებით. აქ მე თქვენ გარწმუნებთ, საფინანსო-სა-
ბიუჯეტო კომისია გააკვირებს. . . თავის მოსაზრებებს წარმოადგენს. ეს
მოსაზრებები. . . გაგახსენებთ, რომ 26 მარტის დახურულ სხდომაზე, რე-

დესაც კუპონების საკითხები იხილებოდა, ჩვენ დავაყენეთ ბევრი საკითხი. ბევრი საკითხი მთავრობის მიერ და ეროვნული ბანკის მიერ გაზიარებული. ის პოზიციები რომ გაზიარებული ყოფილიყო და გაკეთებულიყო ისე როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შესთავაზა, მე ვფიქრობ რომ ბევრი ეს საკითხი იქნებოდა თავიდან აცალგებული. ამასთან აუცილებლად მიმაჩნია, რომ სხდომა . . . არავითარი დახურული სხდომა. დახურული სხდომები, ჩვენ დავრწმუნდით, რომ არავითარ შედეგს არ იძლევა, ბატონო ვახტანგ, ამიტომ ჯობია, რომ სხდომა იყოს ღია. ყველამ იცოდეს, ვინ ვინ არის. ვინ რას ფიქრობს ამ საკითხებთან დაკავშირებით. ვინ რაზე არის პასუხისმგებელი. . . ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, რომ ყველამ აგოს პასუხი თავის ქმედებებზე. გმალობთ.

თავმჯდომარე. მე გავაგრძელებ წელანდელ წინადადებას.

ბატონო თეიმურაზ, ბატონო თეიმურ, ჩვენ გვჭირს ერთი საოცარი სენი ფსიქოლოგიურად, საკითხს დასვამს კაცი და მერე აღარ გისმენენ. საინტერესო წინადადებას დასვამენ და მერე აღარ გისმენენ ეს ყველა ჩვენგანის სენია. მე გთხოვთ, ბატონო თეიმურ, თქვენ, ბატონო მალხაზ. . . დღის წესრიგში, რომ შევიტანთ საკითხს, თქვენ იქნებით დასახელებული თანაავტორებად და ორგანიზატორებად. მე გთხოვთ, მანამდე დღეს და ხვალ თქვენ თვითონ დაუკავშირდეთ. . . მე კი დაუკავშირდები, მაგრამ უნდა დაუკავშირდეთ. იმიტომ, რომ . . . მე მივინდა, რომ ყველა დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარემ თავისი სტატუსის გრძნობას თვითონ სცეს პატივი და ავამაღლოთ. . . იცოდეს მთავრობამ, ყველამ, რომ დეპუტატი პარლამენტზე გამოდის და ის არის ამ საკითხის ინიციატორი და ორგანიზატორი და უნდა იგრძნოს, რომ თქვენ დიდი უფლებები გაქვთ. მე-4.

ე. ბასილია. ბატონო ვახტანგ, დაკავშირება, რა თქმა უნდა, პრობლემა არ არის, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არიან ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც კაბინეტში იმყოფებიან, მაგრამ ამ დროს ყურმილს არ იღებენ, ხოლო მდივნები აცხადებენ, რომ ისინი არ არიან კაბინეტებში. გარწმუნებთ, მე რამდენიმე დღის წინ აქ დავაყენე საკითხი მაღალი სიხშირის ტელეფონის თაობაზე, მე სხვა მოსაზრება კი არ მქონდა, მქონდა ზუსტად ის მოსაზრება, რომ ეს პირები იღებენ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი სიხშირის ტელეფონს. სხვა ტელეფონებს არ იღებენ და მდივნებსაც აფრთხილებენ, რომ ვინც არ უნდა დარეკოს, ისინი თითქოს სამსახურში არ არიან. არიან თითქოს პარლამენტში, არიან თითქოს მთავრობაში და ამ დროს ისინი სხედან მოსასვენებელ ოთახებში. მითუმეტეს, ვისაც აქვს ეს მაღალი სიხშირის ტელეფონი, ის უნდა დაუკავშირდეს და მოიწვიოს კიდეც. რაც შეეხება საკითხის მომზადებას, ამ საკითხს მომზადება არ სჭირდება, ბატონო ვახტანგ, ვისაც უხდება საზოგადოებაში სიარული, იგივე ბაზარში და მაღაზიაში, ამ დარბაზში მსხდომებს საკუთარ


თავზე აქვთ გამოცდილი ეს ყველაფერი. . . . აი ეს პოლიტიკის შედეგად
ფულად-საკრედიტო სისტემასთან დაკავშირებით. ასე, რომ აპარატს
ვთხოვთ, რომ დაუკავშირდეს, მოიწვიოს ხუთშაბათისთვის მინისტრთა
კაბინეტი სრული შემადგენლობით, ეროვნული ბანკის გამგეობაც სრული
შემადგენლობით ამ საკითხთან დაკავშირებით.

დავით აღმაშენებელი. მე მგონი, უკეთესი წინადადება შემოგთავაზებთ და
რახან ასე ვნებავთ ასე იყოს. მე-5.

ო. მრჯანიანი. ბატონებო, მე სრულიად ვუფრთხვები თემურ ბასილიას
წინადადებას. ხუთშაბათისთვის და არა უგვიანეს მოწვეულ იქნას მინისტრთა
კაბინეტი და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა იმიტომ, რომ ფულად
მიმოქცევასთან არის დაკავშირებული სწორედ ის სოციალური პრობლემები
რომელზეც მე წელან მოგახსენებთ. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა
იყოს მთავრობის თავმჯდომარე, რომ ხელფასები უნდა მოემიჯნოს მოსახლეობას.
არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ეს ხალხი ცხოვრობს, ამიტომ
არანაირი მომზადება არ უნდა, ამაშიც ვეთანხმები. ჩვენ შეგვიძლია
ვილაპარაკოთ საგნობრივად, მაგალითების დასახელებით. ბავშვებიანი
ოჯახები, რომელთაც საკვები არა აქვთ. ინგრევა იმ დეპუტატების ტილე-
ფონები, რომელთაც ელემენტალურად კავშირი აქვთ მოსახლეობასთან. რო-
გორც დასვა საკითხი თემურ ბასილიამ, ისე გავაკეთოთ და ზაზა სიხარუ-
ლიძესთან ნუ გამაგზავნიან მე. ამ კომისიასაც მივხედოთ, რომ საქმე
უნდა გავკეთდეს. სოციალური უზრუნველყოფა რომ ჰქვია. . . მე კრიტიკას.
უნდა გავკეთდეს ისე, როგორც მოსახლეობას უნდა.

თავმჯდომარე. ბატონებო, აუცილებელია მე განმარტება გავაკეთო.
მე თქვენ პატივისცემით მოგმართებ. ბატონმა მალხაზმა პატივისცემით
მიიღო და დამეთანხმა. იყავით აქტიური. რას ჰქვია გაგაგზავნიან ?
გთხოვთ პარლამენტმა, რომ რახან ეს მწვავე საკითხი დასვით თქვენთან
ერთად, კომისიასთან ერთად. . . არ ვნებავთ, კი ბატონო, მაგრამ . . .
ჩვენ . . . თხოვნა მაქვს დავუბრუნოთ დღის წესრიგს. ჩვენ ავცდით
მთავარს. დღის წესრიგში რა საკითხი ამოვაკლოთ და რა დავუმატოთ. მე-6.

ნ. კენჭუაშვილი. ბატონო სპიკერო, პატივცემილ პარლამენტის
წევრებო, ამ დარბაზში ძალიან ხშირად გაისმის ხოლმე მოსახლეობის
სოციალურ მდგომარეობაზე, მაგრამ არც ერთი ნათვანი, რომელიც ამ სა-
კითხებს სვამს, არასოდეს არ შემოსულა სოციალური დაცვის კომისიაში
და არ უკითხავს, როგორი მუშაობა მიმდინარეობს ამ მიმართულებით. რაკი
დღეს ასე დასვა საკითხი ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ და რაკი ასე
განაცხადა, რომ ზაზასთან არ უნდა გააგზავნონ ქალბატონი იზა, მაშინ
მე თქვენ გეტყვით, რომ სოციალურ საკითხთა კომისიამ შეგნებულად არ
დასვა ეს საკითხი ექსპრომიტად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და მხო-
ლოდ ფაქტების კონსტატაცია, მხოლოდ გულისამარჯულებელი სიტყვები, რომ
მოსახლეობა დღეს არის სავალალო მდგომარეობაში, ფონს ვერ გაგვიყვანს



და ვერანაირ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. ამასთან დამატებით მინდა
 გითხრათ, რომ სოციალურ საკითხთა კომისიამ ჯერ კიდევ სამი კვირის
 უკან მოამზადა ვ ალტერნატიული პროექტი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გადართმევად ღონისძიებათა შესახებ და სხვათა შორის, მე ვიყავი სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, რომელმაც განაცხადა, რომ ეს დადგენილება არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, არამედ ეს არის მთავრობის გამგებობის ნიკუთვინიერი საკითხი. ჩვენი სამივე პროექტი შევთანხმებთ ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, სოციალურ უზრუნველყოფის, დასაქმების სამინისტროსთან. ეს პროექტები გადავიცი პარლამენტის სპიკერის მოადგილეს ქალბატონ რუსუდან ბერიძეს და მე მას ვუთხარი, რომ ეს პროექტები, რომელიც არის შავი სამუშაო შესრულებული. სოციალურ საკითხთა კომისია დივიდენტებს არ აგროვებს ამით, რომ მოსახლეობას უთხრას, რომ ჩვენ შავი სამუშაო შევასრულეთ. მე გთხოვთ, ბატონო ელუარდ შევარდნაძეს, თუ საჭიროდ ჩათვლით, მიაწოდოთ ეს პროექტები, რადგან დაყოვნება ამ დადგენილების მიღებისა ფაქტიურად ჩვენ მიგვიყვანს სოციალურ აფეთქებამდე. გარდა ამისა, ბატონო სპიკერო, თქვენ შეგებლეთ გეპასუხებათ, რომ კოლეგიის სხდომაზე ზაზა სიხარულიძემ ითხოვა IO წითელი განცხადების უფლება და რამდენადაც მე ვიცი, კომისიაში იყო საუბარი, რომ თქვენ მას უთხარი, რომ სიტყვა ითხოვდა სხდომაზე და იქ მოგვეცემათ. ზაზა სიხარულიძე სწორედ ამ საკითხებზე აპირებდა გამოსვლას, მაგრამ აპირებ, ვიმეორებ, არა ექსპრომტად, არამედ დადგენილების პროექტით უკვე შეთანხმებულს და შემოსულიყო შემოთავაზებით. რა გზას დავადგეთ და კონკრეტული ამოცანები, როგორ გადავწყვიტოთ. ასე და არა სხვაგვარად საკითხის დაყოვნებით. მე ბოდიშს ვიხდით, ავღელდი იმიტომ, რომ აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ზაზა სიხარულიძეზე, როდესაც სოციალურ საკითხთა კომისიაზე ლაპარაკობენ, არამედ კომისიის II წევრზე, კომისიის ნ ექსპერტზე და კიდევ იმ ადამიანებზე რომლებიც სრულად უანგაროდ მუშაობენ სოციალურ საკითხთა კომისიაში დღე და ღამე და მე კიდევ ერთხელ მინდა . . . მე ბოდიშს მოვუხდით ყველა დეპუტატს, ბოდიშს მოვუხდით სზოგალოებას, რომელიც ახლა ჩვენ გვისმინს მაგრამ თუ ვინმე იტყვის, რომ სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებზე უფრო გვიან ვინმე გადის პარლამენტის შენობიდან, თუ ვინმე იტყვის, რომ სოციალურ საკითხთა კომისიაზე უფრო ნები მოქალაქე მას მიუღია, ან სხვა რამ, ასეთ შემთხვევაში მე არაფერს ვიტყვი და როცა სოციალურ საკითხთა კომისიაზე საუბრობენ, მე ყველას ვთხოვ დიდი პატივისცემით, დიდი სიყვარულით, რომ იქნებ ჩვენგანაც პატარა ინფორმაცია მიიღონ ხოლმე იმისთვის, რომ გაცილებით უფრო უკეთეს შედეგს მივაღწევთ ასე, ვიდრე კონფრონტაციით. ვმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონებო, ჩვენ უკვე პარლამენტს აღარ ვგვივართ უკვე. დღის წესრიგი დავამტკიცოთ? ქალბატონი იზა მე-3 გამოდის უკვე.

ი.ორჯონიკიძე. მე მინდა მოსახლეობასაც ვუთხრა და პარ-

ლამენტსაც, რომ მე ზაზა სიხარულიძესთან ვაგზავნა არ მიხსენებდნენ. არ შეიძლება ასე ოჯახური ინტერესებით ცხოვრება. არ შეიძლება, ეს კომისია რასაც აკეთებს, უნდა იცოდეს პარლამენტმა და ყველაზე ძალიან უნდა იგრძნოს მოსახლეობამ. ოთახიდან ოთახში პროექტების გატანა არ ნიშნავს მიუშობას. მეორე, თუ ვინმე შესულა სოციალურ კომისიაში. . . უამრავი წერილი, რომელიც ჩემს სახელზე მოდის და მე პირადად გადამიცია მათთვის და მე მაინტერესებს, როგორ უბასუხებს მათ ამ წერილებს და რა პასუხი გასცეს და როგორ დააკნაყოფილეს. არ შეიძლება ამ საკითხების გადაღება.

თავმჯდომარე. დღის წესრიგთან დაკავშირებით. მე-2.

გ.ხაბაძე. უკვე მ თვია თუ მ თვია, ანგარიში ამერია,

მინდა მხარი დავუჭირო ბატონ ვახტანგს, თქვენ თვითონ ბრძანებდით, რომ მომწიფება სჭირდება საკითხს. წინა სამშაბათს მომწიფებული არ იყო, ჯერ კიდევ მწიფდებოდა და გვპირდებოდით, რომ ამ სამშაბათისთვის უნდა მომწიფებულიყო. ერთხელ ირინა სარიშვილი ამ დარბაზში თქვა, ვაშლი მაშინ უნდა მოწყვიტო და შეჭამო, როცა მწიფეაო და დამწიფდა, ბატონო. თუ დამპლის ჭამა გინდათ, არ ვიცი და არ მესმის თქვენი. თვით ეღებეც ამას თვლის და წინა სამშაბათს ითხოვდა საკითხი დღის წესრიგში დამდგარიყო. ბოლოსდაბოლოს დავაყენოთ კენჭისყრაზე საქართველოში რუსის ჯარის ყოფნის საკითხი, თუ არა და გამოვიდეთ და ვთქვათ რა ხდება, რატომ იჭიმება ეს საკითხი მ თვის განმავლობაში. იქეთ სამშაბათი, მოვიდა სამშაბათი, დღის წესრიგში არ არის. მეჩვენებდით, მე ვამათი, ყველა სესიაზე აღვკომა, საკითხის დაყენება. ჩემს გარდა კიდევ არიან აქ მეგობრები, რომელნიც ამავდ აზრის არიან, მაგრამ უბრალოდ. . . შეუვალი კედელია უკვე, ბატონო ვახტანგ, თქვენი ეს ქცევა, რომ . . . წინა ხუთშაბათს რომ მოვილაპარაკეთ სამშაბათს იქნება. მოვიდა სამშაბათიც. ერთი ლეპუტატივით შიმშილობას ხომ არ გამოვაცხადებთ დარბაზში. დავაყენოთ ეს საკითხი ბოლოსდაბოლოს.

თავმჯდომარე. აქ ტექსტი მაქვს, გადავანრავლებინოთ და დღის

მეორე ნახევარში ვუყაროთ კენჭი. . . . გვეგონებათ მე ვიყო ამის წინააღმდეგი. მე-3, მე-7, . . . არ მივიღოთ დღის წესრიგი? არ ვიმუშაოთ დღეს? რა ამოვაკლოთ ან რა დავუმატოთ და მეჩვენებთ სიტყვას.

ი.ხაბინაძე. დღის წესრიგთან დაკავშირებით, ბატონო ვახტანგ.

ბატონი თემურ ბასილია არ გამოსულა აქ, როგორც ცალკე ლეპუტატი. ის გამოვიდა, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. საკითხი შეტანილი იყოს დღის წესრიგში შეიძლება სხომის. კოლეგა აღარ გამართება ზეგამდე, ამიტომ გადაწყვეტილება უნდა იყოს დღეს. მე გამიოცა მიღვომამ, რომ თურმე კომისიის თავმჯდომარე უნდა დაჯდეს ტელეფონთან და უნდა დაპატიჟოს აქ მინისტრთა კაბინეტის წევრები ამისათვის.



თავმჯდომარე, არ მითქვამს ასე . . .

ი.ხაინძრავა, . . . აპარატი როგორმე მოაკვარებს ^{მეც} ^{საქმეს,} ^{მეც} ^{საქმეს,}

როგორც აქამდე აკვარებდა, მაგრამ ამ საკითხის შეტანა აუცილებელია ზეგინდელი სხდომის დღის წესრიგში. მე გაგახსენებთ, რომ ამ ერთი თვის წინ ფრაქცია " რესპუბლიკელებმა " დააყენეს საკითხი მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ საქმე ასე თუ გაგრძელდა, მე დარწმუნებული ვარ, ამ პარლამენტში დადგება მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი საერთოდ. ეს იქნება უფრო მწვავე და უფრო მტკივნეული, ვინაიდან მოსახლეობას ატანა აღარ შეუძლია იმ მდგომარეობისა, რომელიც არსებობს. პარლამენტთან ერთად უფრო მეტად ალბათ, ამას . . . ეს პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მინისტრთა კაბინეტმა, ამიტომ მე გთხოვთ დაისვას კენჭისყრაზე ზეგინდელი სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთ პირველ საკითხად და არა ბოლო საკითხად, აი იმ წინადადების, იმ საკითხის, რის შესახებაც აქ ილაპარაკა ბატონ თემურ ბასილიამ.

თავმჯდომარე, მე მგონი, არავითარი კენჭისყრა არ უნდა ამას შევიტანოთ. მე რავიწერე და გითხარი, არ არის ეს ისეთი საკითხი, რომლის წინააღმდეგი იყოს ვინმე. ბატონო ივლიანე, ნუ მომწერთ ისეთ რაღაცას, რაც მე არ მითქვამს. მე გთხოვთ, ბატონ თემურ ბასილიას, რომელსაც იცით თქვენ როგორ პატივს ვცემ, ბატონ მალხაზ კვანცილაშვილს, მოდით, შემოვიღოთ ასე-მეთქი, როცა აქტუალურ მწვავე საკითხზე სვამს დეპუტატი, წინადადებას, მიყვეს ბოლომდე იმ საკითხს, იყოს მისი კონტროლიც. ტელეფონი რა პრობლემაა. მე დავურევავ და თვითონ დაელაპარაკოს. იცოდეს, რომ მას ელაპარაკება დეპუტატი. ამ ნიშნით გითხარი, თორემ. . . და თქვენს სტატუსს თქვენ თვითონ მივცემ-მეთქი უფრო მეტი ფასი და ღირსება-მეთქი და. . . არ ვნებავთ, კი ბატონო, რა პრობლემაა მთავრობის გაფრთხილება, ამიტომ კიდევ ერთხელ ვიფიქროთ, დეპუტატების მათრგანიზებელი მუშაობა რომ იყოს, მარტო პარლამენტის სხდომაზე განოსვლით რომ არ შემოიფარგლოს. მე-7.

ჯ.ჩარკვიანი, თუ გიჭირს კაცს, უნდა თქვა გაჭირვების გამო რუსეთის ტელევიზიამ რუბრიკით "Современно секретно" გადმოსცა

ფილმი "Мастер иностранных дел". ფილმის უძღვებიან ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე კორნიენკო და ცნობილი ბარაკის უკვე ცნობილი შვილი ბარაკივი. ისინი ორივენი ერთად წარმოადგენენ ბატონ ელუარდ შავარდნაძეს, როგორც საბჭოთა ქვეყნისა და საერთაშორისო კონუნისტური სამყაროს დამანგრეველს ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ~~ამხედრონ იმპერიით კონტრადაზინდული აღამიანები.~~ ფილმში ნათლად არის გამოკვეთილი იმპერიის აშკარა ომი დემოკრატიისა და დემოკრატების წინააღმდეგ. ფილმი კომუნისტურ-ფაშისტური მიმართულებისაა და სრულიად გამყლავნებულია ერობა შევარდნაძის მოწინააღმდეგეებისა და საქართველოში მყოფი ორჯული აღამიანებისა, რომლებიც ვერ თმბენ მრგვალი მაგილის პარანოიკთა ჰალუცინალურ სამყაროს. მე მოვალე

ვარ, გავაფრთხილო პარლამენტი, რომ საკმედე უფრო სერიოზულია, ვიდრე რვენი გვგონია. შეიკრა ახალი ძალა. ეს ძალა საშიშია. მარტინი ამ წევრიდ ღროში ვერაფერს ააშენებუნენ, მაგრამ შედეგებიან დაანჯრიონ ძალიან ბევრი. ვთხოვ პარლამენტს, გამოიჩინოს მეტი სიფრთხილე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. კორექტურობისათვის მე მთხოვენ პასუხს და სამართლიანად. მე ერთი თხოვნა მექნება, რომ რვენთან პარლამენტში, მე მგონი, თქვენ არ გულისხმობდით. . . რვენი პარლამენტში, "მრავალი მაგიდა ", " ბრტყელი მაგიდა " და ა.შ. ასეთი გამოთქმები არ არის. რვენთან არის პარლამენტის წევრების ურთიერთპატივისცემა, რომელი პარტიდანაც უნდა იყოს მოსული. მე-2, მე-6, მე-5. არ დავამტკიცოთ დღის წესრიგი ?


გ.ნიკოლაიშვილი. რა თქმა უნდა, დღის წესრიგი უნდა დავამტკიცოთ. ახლა დავამთავროთ ამაზე. მე მინდა ვთქვა, რომ რვენი "ილია ჭავჭავაძის " საზოგადოების დარბაზში პირდაპირ დავგავალა, რომ დღეს სივის დღის წესრიგში შეგვეტანა კუპონების საკითხი. ნესმის, რომ დღეს ეს არ ხერხდება. ზეგისთვის რვენი გვექნება საკმაოდ. . . მოსაზრებები მანეთის ბრუნვიდან ამოღების თაობაზე. ეს იქნება განცხადების სახით თუ სხვა სახით, მაგრამ რვენი ამას დავაყენებთ. დღეს, მე მგონი გაღვეწვიტით, რომ ჯარის გაყვანის საკითხი დღის მეორე ნახევარში იყთუ ეს ითვლება, რომ მიღებულია და კენჭისყრა არ სჭირდება, რვენი ვიმბრობით, და ვთხოვთ, რომ. . .

თავმჯდომარე. იქნებ ამ შევსებით ნივილოთ და. . . თითო წუთის მეტს ვერ მოგცემთ. მე-6. მე-4, მე-5. დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ი.წერეთელი. ყველა გვეყნის ისტორიაში არსებობს გარკვეული თარიღები, როდესაც რა მღკომარეობაც უნდა იყოს, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხვალ არის ასეთი თარიღი საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დღე და რა თქმა უნდა, უპრიანი იქნებოდა, საქართველოს პარლამენტი პირველმა პარლამენტმა ისტორიული ძვალსაზრისით ერთხელ და სანუღამოდ გაარკვიოს თავისი დამოუკიდებლობა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ ჯარებთან და მიიღოს შესაბამისი დადგენილება ამ საკითხის თაობაზე. რემი თხოვნაა, რომ ვიდრე დასაფლავებაზე წავილოდეთ დიდი მამულიშვილის პატივის მისაგებად, ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც შეიძლება დიდი კანთი გაიმართოს და დადგენილების მიღება მაინც მოვახწროთ. დანარჩენ საკითხებზე ვიმსჯელოთ შემდეგ, როცა დავბრუნდებით დაკრძალვიდან.

თავმჯდომარე. მე-4, მე-5.

გ.კობახიძე. რემი გამოსვლა ეხება დღის წესრიგში მე-5



საკითხად შეტანილ საკითხს. საქმე ეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მოხსენებას "სახელმწიფოებრივ მდგომარეობის წინაშე მუდმივი პოლიტიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები". ამ მოხსენებას ჩვენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და გუშინდელ კოლეგიაზე ვთქვით და ჭავჭავაძე, რომ მისი წაკითხვა მოითხოვს დარბაზში ბატონების ელუარდ შევარდნაძის, თენგიზ სიგუას და რომან ვოცირიძის ყოფნას. ალბათ, გაიტყნებებთ ეს მოხსენება მინისტრთა კაბინეტის პრეზიდენტის სხვა წევრებსაც განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრს მოვიხსენიებდი მე. მნიშვნელოვანი აღვადგინე ამ მოხსენებაში დათმობილი აქვს საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკას და ბუნებრივია, მხარს დავუჭერთ ჩვენ ბატონ თემურ ბასილიას მიერ დასმულ საკითხსაც და გარდა ამისა, თხოვნა მექნება თქვენთან, ბატონო ვახტანგ და აპარატის ხელმძღვანელთან, რომ დაუკავშირდნენ ჩემს მიერ ჩამოთვლილ პიროვნებებს როცა მათ საშუალება ექნებათ, მაშინ გავიღეს ეს საკითხი. სადღაც ნახევარი საათით მათმა უნდა მოიცალონ ჩვენთვის. გთხოვთ, რომ უნომრო იყოს ეს საკითხი, როცა ეს პიროვნებები დაესწრებიან, მაშინ გავიღეს დღის წესრიგში.

თავმჯდომარე. აქ ამისი ლაპარაკი არ იყო აუცილებელი, ეს თავისთავად მოხერხდება. არ არის ეს პრობლემა.

კ. კობახიძე. დღის წესრიგის საკითხია ეს, ბატონო ვახტანგ, შედარებისთვის რომ წარმოიღვინოთ, ამ საკითხს გაცხადებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვიდრე ნ მისის სხლმაზე გამოტანილ საკითხს, რომელიც ეხებოდა თავდაცვის სამინისტროში საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია აუცილებლად, რომ ეს მოგვარდეს თუ ისინი მხოლოდ ხუთშაბათს მოვლენ, მაშინ პირველივე საკითხად გავიღეს. აქ საუბარი იყო. . . ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ იყო დასმული საკითხი ჯართან დაკავშირებით. ყური მოჭრა ბატონი ვაჩხავთასის ერთმა ფრაზამ, რომ "თვით ეროვნულ-დემოკრატიული". მე ბატონი ვაჩხავთასის ხსენებას ვერც ერთ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული ამ საკითხის დასმას და გადაწყვეტას მხარს არ უჭერდეს. ეს ერთი და მეორეც, ეროვნულ-დემოკრატიულს არ ახასიათებთ ლაპარაკი ლაპარაკის გულისთვის და ბატონო გიორგი, მე არასდროს არ მიმიცია თავისთვის უფლება, რომ ეს მეთქვათ თქვენთვის, მაგრამ ნ თვის განმავლობაში საკითხის ყოველდღიურად განმეორება სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. მას შემდეგ, რაც თქვენ შეგვხვდით, ვაძლევ თავს ამის თქმის უფლებას.

თავმჯდომარე. ახლა მე ვაძლევთ შენიშვნას და მალევე გთხოვთ ყველას. სირცხვილია, ბოლოსდაბოლოს, დღის წესრიგში შეტანილია ეს საკითხი, დავამტკიცოთ და დავიწყოთ მუშაობა. შესულია ის საკითხი. დავამტკიცოთ დღის წესრიგი. ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ შემოტანილი დღის წესრიგის პროექტის ჩართვით. . . წინააღმდეგი ვინ არის. არავინ. დღის



წესრიგი დამტკიცებულია.

(პირველი იყო ეს საკითხი - ისმის ხმა)

თავმჯდომარე. რა დავამტკიცოთ. . . . (ხმაური)

მაშინ ჩვენ. . . ტექსტი მივეცი გასამრავლებლად. მეორე, ჩვენ რომ ამით დავიწყოთ ახლა სხვობა. . . არ გვინდა წესიერად ვიმუშაოთ? ბატონებო, მოდიეთ ასე გავაკეთოთ, მესამე საკითხაო შევიტანოთ.

ნ. ნათაძე. მოგახსენებთ. ტექსტი : " საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის შეიარაღებული ძალების შესვლა 1921 წელს იყო შეიარაღებული აგრესია სუვერენულ ქვეყნის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს სრული ოკუპაცია და ფაქტობრივ ანექსია, ხოლო შემდეგში საქართველოს ძალადობით ჩართვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და რომ არც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, არც შემდეგში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს რესპუბლიკის ყოფნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა აქვს სხვა საფუძველი, გარდა აგრესიის შედეგად წარმოქმნილი ზემოხსენებული მდგომარეობის მექანიკური გაგრძელებისა. საქართველოს პარლამენტი ადგენს :

- 1) რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები გაყვანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მიელი ტერიტორიიდან ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში.
- 2) რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელთ არსებული შეიარაღება და საჭურველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების თანახმად ნაციონალიზებული საქართველოს რესპუბლიკის მიერ, გადაეცეს ჩაბარება-მიღების აქტით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს. მიემართოს გაეროს ოხოვნით, რათა საქართველოში მოვლინებული იქნას ექსპერტები საქართველოს რესპუბლიკისათვის გადმოსაცემი იარაღისა და საჭურველის შესამოწმებლად საერთაშორისო აქტებით დაუდგინო კლოდებთან მიმართების თვალსაზრისით.
- 3) დავალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო წარდგინება რუსეთის ფედერაციის მთავრობაში.

კომენტარის სახით მოგახსენებთ, რომ ფორმულირება გაყვანის შესახებ ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში, ჩვენ ვვადგენს საშუალებას, რომ ეს ტექნიკურად შესაძლებელი ვადა განვსაზღვროთ ისე, როგორც შეესაბამება ჩვენს ინტერესებს და ჩვენი და ჩვენი პარტნიორის ცივილიზებულ ურთიერთობის ინტერესებს. ეს ერთი. მეორე, ჩვენ სარატიფიკაციოდ გამოგვაქვს ვენაში დადებული საერთაშორისო კონვენცია, რომელიც არეგულირებს გაყოფილი სახელმწიფო-

დაკავშირებით, მაგრამ ეს ჩვენი ფორმულირება, რომელიც თქვენ მოიფიქრეთ და შეიძლება სხვა შემთხვევაში ნისაღები ყოფილიყო, მიმართა რომ აძლევს გასაძრომს, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს რაღაც საკითხებში. ჩვენ, საქართველომ უნდა მკვეთრად ვთქვათ, რას ვაპირებთ, რას მოვითხოვთ. კი ბატონო, ტექნიკურად უმოკლესი ვალა შეიძლება რუსეთმა ჩათვალოს 5 წელი და საქართველომ ჩათვალოს 3 წელი, მაგრამ აქ ხომ ამ პრინციპზე არ არის საუბარი. მე მგონია, ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ არის თუ არა ეს ჯარი საოკუპაციო და უნდა თუ არა, უნდა დადგეს ჩვენგან, პარლამენტისაგან ამ ჯარის გაყვანის საკითხი. ჩვენ უნდა დავაყენოთ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ. მკაფიოდ გადავწყვიტოთ. მე ვუჭერ მხარს იმ წინადადებას, რომ ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ გაყვანას. ის არგუმენტები, რომ მოითხოვენ, არ გაიყვანენო, ეს არის ბოღიში და სულელური არგუმენტები. ასე იყო. . . თქვენ გინდა თქვათ, რომ სულელური დაღვენილებები მიიღეს ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის უზენაესმა საკანონმდებლო ორგანოებმა და სწორედ იმ დაღვენილების საფუძველზე ვი აგვისტოს მთავრდება ლიტვიიდან გაყვანა აზერბაიჯანში არც ერთი რუსის ჯარისკაცი არ არის, ასევე ამ წლის ბოლომდე დამთავრდება ლიტვიიდან და ესტონეთიდან ჯარების გაყვანა. თუ თქვენ გამოსაძრომს ეძებთ, მე მინდა ეს ხმამაღლა ვთქვა, ეს გამოსაძრომი არის, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, ბატონო ნოდარ, რომ თქვენ მოძებნეთ ამ შემთხვევაში განსხვავებული პოზიცია და შეიძლება ამ პარლამენტისადმი ნისაღები, მაგრამ მე მოვითხოვ, როგორც პარლამენტი წევრი, რომ ეს საკითხი დადგეს სახელმწიფო კენჭისყრაზე და ყველამ გამოხატოს თავისი პოზიცია ამ საკითხისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გავა რამდენიმე თვე და ისევ მინდა ვთქვა, რომ საკითხი ჯერ არ მომწიფებულა და ა.შ. აღმოჩნდება, რომ ჩვენ ძალიან დავაგვიანეთ. პასუხისმგებლობის გრძნობა არავის არ ექნება. თუნდაც ეს მაინც გავაკეთოთ, თორემ რა გამოდის. . . 96 წლის I იანვარია ფაქტიურად, ან 95 წლის ვი დეკემბერი. ვინ გადაწყვიტა ეს საკითხი. პარლამენტი გადაწყვიტა? - არ გადაწყვიტა. მე როგორც ვიცი, თქვენ სხვა პოზიცია გქონდათ ამ საკითხზე. მიღის მოლაპარაკებაზე ერთი გენერალი, მეორე . . . მე არ ვიცი, იმ ჯარის გენერალს, რომლის მთავარსარდალაც დღეს იმ გენერალთან. მოლაპარაკებას აწარმოებს, რა თქმა უნდა, როგორც უფროსი ელაპარაკება. დამერწმუნებით არა? საბჭოთა არმიის გენერალი იყო სულ რამოდენიმე ხნის წინ . . . ვინც სამხედრო საკითხებს ხელმძღვანელობდა. არ გვინდა, კი ბატონო ნურადერს ნუ დავარქმევთ თავის სახელს, მაგრამ მე მიმართა, რომ თუნდაც ამ საკითხში ხალხს უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა, ვინ რას უჭერს მხარს. 250 მილიარდი საკითხი და აი ის საკითხი ამ საკითხთან დაკავშირებით. . . ე.ი. თურნე შიმშილობა ელოდება და ა.შ. სწორედ


აქედკენ მიღის სიტუაცია. რაში გვაძლევს ის რუსეთი 250 მილიარდს. მე მიწა გავიგო. იქნებ იმაში გვაძლევს, რომ ვ წლის მანძილზე აქ იყოს ჯარი. იქნებ. . . აბა რატომ გვაძლევს. კაი ბიჭები ვართ ? თუ არ გვაძლევს, მით უნეტეს. მაშინ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაყვანა ჯარის. ჩვენ მოვითხოვთ და შემდეგ მოლაპარაკებამ . . . ბატონო ნოდარ, როცა მოლაპარაკება ნახდება, დავითონ პარლამენტმა ჩამოვაყალიბოთ ჯგუფი, რომელიც რუსის ჯარებთან დაკავშირებით აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთის მხარესთან და უკვე განისაზღვროს ის ტექნიკურად უმოკლესი ვადა. იქნებ I წელი იყოს ეს ვადა, მე არ ვამბობ, რომ ხვალ გავა ჯარი. ხატქმა უნდა, ამას მოლაპარაკება დასჭირდება ტექნიკურ პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ ხომ ნათელია, რომ ბატონი შვედარდნაძის შეხვედრაც ელცინთან და ინიტომ დათანხმდა ელცინი ამ შეხვედრაზე, რომ მოელის ელცინს შეხვედრა შვიდღულის ქვეყნებთან. მათგან სჭირდება დახმარება 43 მილიარდი დოლარის ოდენობით და სჭირდება გარანტიები, რომ საქართველოს რუსეთთან პრეტენზიები არა აქვს. მე მკონია უნდა დავაფიქსიროთ ამ შეხვედრის წინ, თუნდაც, რა პრეტენზიები აქვს საქართველოს და რას მოვითხოვთ. თუ არ დავაფიქსირებთ, მაშინ სახელობით კენჭისყრაზე გადავწყვიტოთ ეს საკითხი. აქვენი დადგენილება, ბატონო ნოდარ, კი ბატონო, დადგენილება საც ვუყაროთ კენჭი, მაგრამ მე მთვის განმავლობაში ამ საკითხს არ ვაყენებდი. მე ვაყენებდი საკითხს რუსეთის ჯარის აქ ყოფნის ვადის განსაზღვრისა. ტექნიკურად უმოკლესი ვადა ეს არის გაურკვეველი. შეიძლება ეს იყოს 100 წელიწადი. ბოლოში

თავმჯდომარე. მე-6.

ნ.ნათაძე. თუ შეიძლება მე ვუპასუხებ.

თავმჯდომარე. ბატონებო, მე ვაბყობ, რომ გამწვავებას იქედკენ მივყვავართ, რომ ამ დადგენილების მიღება დაყოვნდება. მე რე ვილაცა გამოთქვამს აზრს, რომ ალბათ სპიკერს უნდოდა ასეო. იქნებ. . . უფრო რადიკალური რა უნდა იყოს, მე არ ვიცი, მაგრამ იქნებ უფრო ახლოს ვიყოთ სინამდვილესთან.

დ.წინღთელი. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია და მისაღებია ვია ხავთასის შენიშვნები, მაგრამ ერთი რამეც გავითვალისწინოთ, რომ ამ გამწვავებულმა კამათმა შეიძლება საერთოდ ჩააკლოს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი. რაც ნთავარია, ბატონი ნოდარის მიერ წარმოდგენილ დადგენილებაში, ეს . . . პირველ პუნქტში ძალიან ამომწურავად არის დაპარაკი ოკუპაციაზე და ანექსიაზე. აბსოლუტურად მისაღებია, რომ ეს ტექნიკური . . . ჩემთვისაც გაუგებარია და ბატონო ნოდარ, თქვენ ბრძანებთ ვენის კონვენციის შესახებ და პრინციპში თუ ისევ საბჭოთა კავშირის დამლის სუბიექტ. . . თუ არ განვიხილავთ ამ საკითხს, ხვალინდელ დღეს რატომ აღვნიშნავთ, ან მე რამდენადაც ვიცი,



უზენაესმა საბჭომ რაცა მიიღო დაღვენილება დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, თქვენ იყავით ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი ინიციატორი რანენტიში ამ დაღვენილებისა და წინააღმდეგობაში არ მოვედით. ამბობდა ლაპარაკი. მე, მიუხედავად იმისა, რომ ვიას პოზიცია. . . რვენი ერთი პოზიცია გვაცნეს და ეს პოზიცია დაფიქსირებულია ჩვენს დაღვენილების პროექტში. თუ ვერ შევთანხმდით, ამაზე მაინც მოვილაპარაკოთ, რომ ამ დაღვენილებასაც ვუყაროთ კენჭი ინიტონ, რომ ეს საკითხი არ ჩავარდეს და შემდეგ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩვენ გამოვიყენოთ მეორე დაღვენილების პროექტი, რომელიც ჩემის აზრით, ხელს არ უშლის . . . იმიტომ, რომ მე მივინია, რომ საერთო ჯარის გაყვანის შემდეგ არ ჩავარდეს ეს დაღვენილება, თუმცა მაინც დამაინც ამ დაღვენილების იმედალ არ ვარ, მაგრამ თუ დაისნება საკითხი იმის გამო, რომ არ ჩავარდეს, მე მაინც მხარს დავუჭერ ამას. ეს ტექნიკური ამოგატლოთ იქნებ.

ნ. ნათაძე. თუ შეიძლება განმარტება. ამ ტექსტში არის პრეამბულა და ამის საკუთრივ დაღვენილება. ორივეს თავდავისი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, პრეამბულაში ნათქვამია. . . ჩვენ ამას პირველად ვამბობთ, დღემდე საქართველოს უზენაეს ორგანოს არ უდქვამს. . . პრეამბულაში ნათქვამია, რომ რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში არავითარი საფუძველი არა აქვს. გინდა უხეშად გითქვამთ ეს და საოკუპაციო ჯარი გიწოდებიათ, გინდა ზრდილობიანად გითქვამთ, ირიუდიული შინაარსი არის ერთიდაიგივე. ჩვენ გვჭირდება სწორედ ეს იურიდიული შინაარსი, გვჭირდება იმის ფიქსაცია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესი ორგანოს აზრით, რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში არავითარი საფუძველი და არავითარი გამართლება არა აქვს. ეს ამოცანა აბსოლუტურად ამომწურავად არის გაღატრილი ამ ფორმულირებაში - კორექტულად, მაგრამ ამომწურავად. მე მგონი, ბეტი არაფერი არ გვჭირდება ჩვენ. ახლა რაც შეეხება თვითონ დაღვენილების პუნქტებს. პირველი პუნქტი, " რუსეთის ჯარი უნდა იქნეს გაყვანილი ტექნიკურად შესაძლებელ უნაკლებ ვალაში ". . .

ვთქვით, ამ საკითხზე ჩვენი აზრი და რუსეთის აზრი რომელია ტექნიკურად შესაძლებელი უნაკლები ვალა ერთნაშენს არ ემთხვევა, მაშინ ჩვენ ვიწვევთ საერთაშორისო ექსპერტებს, ნივინართავთ ვადროს და ვიღაცა ექსპერტი გვეუბნება, რომელი ვალა არის მინიმალურად საკმარისი, რომ ესა და ეს ნაწილი დაიჭვიროს და ვავიღეს საქართველოს ტერიტორიიდან. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვერ ვთანხმდებით. რაც შეეხება შეთანხმების პერსპექტივას, ცხადია, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი, რაც გინდა დენაგოგიურად იყოს განწყობილი, ჩვენი პარტნიორები იყავს მხედველობაში, არ იტყვის იმას, რომ ვთქვით, IO ათასამდე ჯარისკაცის გაყვანას საქართველოდან

საქართველოს
პარლამენტის
პროსესული
ბიბლიოთეკა




არ სჭირდება ეს ვადა. ტექნიკურად სჭირდება ბევრად ნაკლებად, ვიდრე ნოკაბსენებთან, როდესაც მსჯელობა ტექონდა ამ რვენი . . . სამხედრო ტუნ-
 ქტებსაც ეხება, ხელშეკრულების ტექსტის პროექტზე, იქ რუსეთის მხა-
 რეს ასეთი არგუმენტაციაა ტექონდა შემოთავაზებულია, რატომ რჩებიან
 ისინი ამდენ ხანს აქ. იქ ლაპარაკი იყო, რომ ეს არის მეგობრული
 ტრადიციები და ა.შ. და ა.შ. რვენი ეს ყველაფერი მოვაცილეთ და ისი-
 ნიც დავითანხმეთ ამაზე და იქ ჩადებულია ერთადერთი არგუმენტი, რატომ
 უშვებს საქართველო, რომელსაც გამოცხადებული აქვს ნეიტრალიტეტის
 პოლიტიკა, რომ უცხო ქვეყნის ჯარისკაცები ამდენ ხანს იყვნენ საქა-
 რთველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანა ანგარიშს უწევს
 თავას პარტნიორს, რომელსაც არა აქვს ბინები. . . აქვს თუ არა, ეს
 სხვა საქმეა სინამდვილეში, რომელსაც არა აქვს ბინები, აქვს სოცი-
 ალური დაკმაყოფილების სიძნელეები, ამიტომ რვენი მათ ვუწევთ ანგარიშს
 და ამდენ ხანს ვტოვებთ სამხედრო-მოსამსახურეებს აქ. ამის კომენტა-
 რი, როდესაც რვენი ვაკეთებთ მოლაპარაკებაზე და რომელიც უნდა გამეორ-
 ლეს ყველგან, სადაც კი ამ თემას შეეხება საუბარი, რვენი კომენტარი
 ეს ვახლავთ, რომ რვენი მხრიდან, რვენი რომ ანგარიშს ვუწევთ თქვენს
 სოციალურ სიძნელეებს და ამდენ ხანს გარეგნულ საქართველოს ტერიტორი-
 აზე რვენი მხრიდან ეს არის უდიდესი დათმობა, რომელსაც სჭირდება კომ-
 პენსაცია რაღაცა შესაბამისი მასშტაბით. ეს კომპენსაცია რვენითვის
 შეიძლება იყოს ის, რომ რვენი პარტნიორისგან მივიღოთ რაღაც საჭურვე-
 ლი, რომელსაც სხვა შემთხვევაში ან გააფუჭებენ, ან ვერ მივიღებთ და
 ა.შ. ამიტომ ეს ფორმულირება " ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადა-
 ში", რვენი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია. პრემიულაც და ფორმულირ-
 ბაც ორივე ერთად რვენი გვაძლევს საფუძველს, რომ ვარეგულიროთ ის პროც-
 სები, რომელთა რეგულირება რვენი გვჭირდება. მაგალითად, რეგლამენტაცი-
 მოვახდინოთ პარტნიორის ნაწილების გალააღვილება-გაღმონაღვილებაზე საქ-
 რთველოში, როდელიდაცა გზა ღია დავუტოვოთ, რომელიდაც გზა გადავუკეცი-
 და ა.შ. ჩამონათვალი შესაძლო ღონისძიებებისა, მკონი, არ ღირს, რომ
 აქ იქნას გამოტანილი. ანგვარად, ამ დადგენილების ტექსტით, რომელიც
 ბალიან კორექტულია, რვენი პარტნიორი, რომლის ჯარებიც დღეს საქარ-
 თველოში იმყოფებიან არაკანონიერ მდგომარეობაში, გადაგვყავს კანონ-
 საწინააღმდეგო მდგომარეობაში და ანგვარად რვენი გვძლევს მტკიცე იური-
 დიული იარაღი, რათა ვარეგულიროთ ეს პროცესები, მათი გასვლის პროცე-
 სები ისე, როგორც რვენს ინტერესებს შეესაბამება. მე მკონი, აუცილე-
 ბელია ამის მიღება და რაც უფრო ჩავუღრმავებთ ამ თემას, ნიღ უფრო
 მეტი დეტალების გამოტანა არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ გთხოვთ,
 როგორც არის, ისე ვუყაროთ კენჭი.

დავნიშობიანი მე-ნ მიკროფონი.

